



ბორჯომის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო

ბიუჯეტი“-ს ფორმირების წესი

1. გამოყოფილი თანხის რაოდენობა:

მომდევნო წლისათვის მუნიციპალიტეტის ყველა, ექვსივე ზონისათვის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტების დირექტულება განისაზღვრება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფარგლებში.

2. სამოქალაქო ბიუჯეტისთვის შექმნილი საბჭოები, სამუშაო ჯგუფები:

მოქალაქეთა კოორდინაციისა და ინფორმირებულობისათვის, პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის კოორდინატორი და ასევე ადგილობრივი კოორდინატორები. ისინი ვალდებული არიან მუდმივ





კონტაქტში იყვნენ მუნიციპალიტეტის კოორდინატორთან და მასთან ურთიერთშეთანხმებით იმოქმედონ.

ადგილობრივი კოორდინატორები ირჩევიან ადგილობრივი მოსახლეობიდან და ასევე სამუშაო ჯგუფებიდან. მათი დანიშნულებაა მოსახლეობასთან მუშაობის კოორდინაცია, მოსახლეობის ინფორმირებულობა და მუნიციპალიტეტის საკონტაქტო პირებთან დაკავშირება პროექტის ფარგლებში.

საპროექტო ინიციატივების შემუშავებისათვის შეიქმნება მოსახლეობისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფები. ისინი გამოვლენილი პრიორიტეტებიდან ჩამოაყალიბებენ პროექტებს, რომლებსაც შეათანხმებენ ასევე თავის თემში / რაიონში, გადაწყვეტენ ერთობლივად რომელი პროექტი განახორციელოს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა შემდეგში.

თავის მხრივ მუნიციპალიტეტში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი საპროექტო ინიციატივების შესამოწმებლად / დასაკორექტირებლად. პროექტიდან გამომდინარე





მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობს მოსახლეობის სამუშაო ჯგუფთან.

კოორდინატორები ბორჯომის მუნიციპალიტეტის და საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ურთიერთკოორდინაციით, განახორციელებს სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საქმიანობას.

3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის

11 ადმინისტრაციული ერთეული დაჯგუფებულია და წარმოდგენილია ნაზონად:

- I. ზონა – ბორჯომი ლიკანი;
- II. ზონა – დაბა ბაკურიანი : ციხისჯვარი, ანდეზიტი, ბაკურიანი, დიდი მიტარბი, პატარა მიტარბი, თორი;





- III. ზონა – დაბა ახალდაბა: ყვიბისი, ახალდაბა, კორტანეთი, ვარდგინეთი, ბეშეთი, ზანავი, რველი.
- IV. ზონა – დაბა წაღვერი: პატარა ცემი, ტბა, ცემი, წაღვერი, სადგერი, ტიმოთესუბანი, ლიბანი, მზეთამზე, წინუბანი, მაჭარწყალი.
- V. ზონა – ტაბაწყური: ტაბაწყური, ბალანთა, მოლითი, ჭიხარულა.
- VI. ზონა – დვირი: ჩითახევი, ქვაბისხევი, დვირი, ჭობისხევი, ტამრისი, საკირე, დგვარი.

ამ გამოყოფის მიზეზი იყო გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მაჩვენებლები, მათ შორის სატრანსპორტო კომუნიკაციის შესაძლებლობა.

4. თანხების განაწილება:

მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა აირჩიოს 1 პროექტი გამოკითხვის ჩატარების დროს გამოვლენილი



პრიორიტეტებიდან გამომდინარე და ასევე დამატებით 3 პროექტი.

5. ვის შეუძლია მონაწილეობა მიიღოს?

„სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქმედუნარიან 18 წლის ასაკს მიღწეულ სრულწლოვან მოქალაქეს;

6. რა პროექტები შეიძლება წარადგინონ?

მუნიციპალიტეტის მკვიდრთა შეუძლიათ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.),

7. სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის წარმოების წესი:

1. ეტაპი. მოსახლეობის გამოკითხვა (20 დღე)



გამოკითხვა ჩატარდება ყველა სოფელსა და ქალაქში.
გამოკითხვას ჩაატარებენ დამოუკიდებელი
ინტერვიუერები. გამოკითხული იქნება ადგილობრივი
მოსახლეობის მთლიანი ოჯახების რაოდენობის 5 %.
გამოკითხვის ბლანკის შევსება ასევე შესაძლებელია
ელექტრონულად WWW.GFA.GE საიტზე.

*II. ეტაპი. შეხვედრები მოსახლეობასთან სამუშაო
გუნდის არჩევა (10 დღე)*

ყოველ გამოყოფილ ზონაში ჩატარდება 1 შეხვედრა
ცენტრალურ სოფელში. შეხვედრის დროს შეიქმნება
სამუშაო ჯგუფი მინიმუმ 2 ადამიანისაგან, ყველა
სოფლიდან. შეხვედრაზე ისინი იმუშავენ
პრიორიტეტული პრობლემებისა და მომავალი პროექტების
დეტალურ აღწერაზე.

III. ეტაპი. პროექტების დეტალური დამუშავება (10 დღე)

ჯგუფებს ექნებათ საშუალება დეტალურად აღწერონ
თავიანთი პროექტები სპეციალური შეხვედრების დროს.





მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა აირჩიოს 1 პროექტი.გამოკითხვის ჩატარების დროს გამოვლენილი პრიორიტეტებიდან გამომდინარე და ასევე დამატებით 3 პროექტი.

IV. ეტაპი. მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ პროექტების სრულყოფაში მოყვანა (30 დღე)

მუნიციპალიტეტის კომპეტენტური სამსახურები ამოწმებენ(არ აფასებენ) და მოჰყავთ პროექტი სრულყოფაში. ეს იქნება მუშაობა ისეთ ასპექტებზე, როგორცაა:სამართლებრივი ასპექტები;ტექნიკური ასპექტები;ფინანსური ასპექტები;თვითმმართველობის კომპეტენციები და მოვალეობები.

V. ეტაპი. შედეგების გამოცხადება

მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საბოლოოდ მომზადებულ პროექტებს მოსახლეობასთან შეხვედრის დროს. ავრცელებს მას მასმედიის საშუალებით. ტვირთავს მზა პროექტებს მუნიციპალიტეტის საიტზე,ასევე





პროექტები იტვირთება სპეციალურ ვებ-გვერდზე, სადაც შესაძლებელი იქნება იმის ნახვა თუ რეალიზაციის რომელ ეტაპზე იმყოფება აღნიშნული პროექტი.

VI. ეტაპი. პროექტების და გეგმების ასახვა მომდევნო წლის ადგილობრივ ბიუჯეტში

VII. ეტაპი. რეალიზაცია და მონიტორინგი.

8. ვინ მონაწილეობს (დაკავშირებულია)

მუნიციპალიტეტის ფარგლებში სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში?

დეპარტამენტები: ფინანსური, იურიდიული, ინფრასტრუქტურული, სოციალური, PR, სოფლის საბჭოები.

